

„ 3 2 0 6 3 2 0 5 6 2 0 2 0 1 6 2 ... ”

პასუხად ვაზა ჩორდება

მოახლოვდა მწერალთა კავშირის მო-
რიგი ყრილობა და დაეწყო ზოგიერთ
ნაცარქექია თუ სიტყვაქექია „ლიტერა-
ტორს“ საყრილობრ ციებ-ცხელებანი!..

ვაჟა ჩირდელის ნერილი, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამო-
ქვეყნა, არა კომპეტენტურობის, ბოლმ-
ის, უფიციონისა და სიცრუის ნაზავია;
ერთი სიტყვით, ეს მარადიული ტექნი-
დაქტორი ისეთივე „ძლიერი“ პუბლიცის-
ტია, როგორი მჭერმეტყველიცაა... ვერც
მისი საუბრიდან გამოიტან აზრს და ვერც
მისი ნაწერიდან, ან აზრი როგორ უნდა გა-
მოიტან თუ თავად ავტორი შორსაა აზ-
როვნებისაგან!..

ბატონშა ვაჟამ არც სიმართლე იცის,
არც სამართალი და კანონები; არ იცის, ან
თავს ისულელებს...

აბა, რომელი მოაზროვნე პიროვნე-
ბა დაწერდა გულისტყვილით: რატომაა
საუკუნოვანი მწერალთა კავშირის ორგა-
ნიზაცია „აიპიო“ (არასამერამეო იურიდ-
იული პირი!) და თანაც ამას ისეთი ნიშნის
მოგებით ამბობს, გეგონება, კანონი
, მემოქმედებითი კავშირების შესახებ“
მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების
მიერ იყო დაწერილი! იქნებ არც ის იცის,
ან თავს ისულელებს, რომ საქართველოში
არსებული ტრადიციული ცხრა შემოქ-
მედებითი კავშირიდან არც ერთი არ ფი-
ნანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და
ხელფასებს ზემოთდასახელებული ორ-
განიზაციების აპარატის თანამშრომელი
ყველგან, მათი ქონების იჯარიდან იღე-
ბენ, რაც ასევე კანონითაა დადგენილი!...

რაც შეეხება ხელფასის ოდენობას,
მთელი აპარატი თვეში ერთი პარლამენ-
ტარის ხელფასაც ვერ იღებს!..

იქნებ არც ის იცის, ან თავს ისულე-
ლებს, რომ სარაჯიშვილის მიერ გად-
მოცემული ქონება (მარაბლის ქ. 13) თუ
ზვიად გამსახურდიას მიერ ნაჩუქარი
(ყოფილი კომკავშირის ცეკას შენობა, მა-
რაბლის ქ. 11) მწერალთა კავშირის ბალ-
ანსზე ირიცხებოდა და 1999 წელს გამო-
სული კანონის თანახმად შესაძლებელი
იყო მისი (სამ თვეში) საკუთრებაში და-
კანონება, კავშირის მაშინდელ მესვეურთ
უბრალო გულისხმიერება რომ გამო-
ჩინათ და რეესტრში ნერილი შეეტანათ.
მათმა უციცობამ თუ გულგრილობამ დაგ-
ვაკარგვინა ზემოთ ნახსენები შენობებიც
და პოლიკლინიკაც, რის სავალალო შედე-
გებსაც, სამწუხაროდ, დღეს ვიმკით!..

„მწერალთა კავშირის ხელმძღვანე-
ლობა დუმს და არ იცავს კავშირის ქონე-
ბას“ — ნერს ჩირდელი, აბა, გაიხსე-
ნოს, იმ ურთულეს, ავადსახსენებელი
საკავშირის რეჟიმის პერიოდში სხ-
ვამ ვინ გაბედა საკუთარი ქონების და-
საკანონებლად პრეზიდენტის, პრემიერის
და კულტურის მინისტრის ნინაალმდევ
სარჩელის შეტანა; იმ დროისთვის ასეთი
გამბედაობა და თავგანმინრვა თვითმევ-
ლელობის ტოლფასი იყო; იქნებ არც ის
იცის, რომ ჩვენ მაშინ მსოფლიოს არაერთ
მწერალთა ორგანიზაციას მივაწვდინეთ
განგაშის ხმა და ევროპის შემოქმედები-
თი კავშირების პრეზიდენტის პიტერ
კურმანის და ნატოს კულტურის ატაშეს

ერი ნერილები ნარვადგინეთ სასამართ-
ლოში; არც იმის ჩამოთვლას დავიწყებთ
თუ რამდენი მიტინგი ჩავატარეთ ქა-
რთველ მწერალთა უფლებების დასაცა-
ვად; ეტყობა, არც ჩვენი კომპატენცია
ეყო ამ საქმეს, არც სხვა შემოქმედებითი
კავშირების ხელმძღვანელთა, — ვაჟა
აზარაშვილის, გიგა ლორთქიფანიძის და
არც სხვების, რომ ხელისუფალთა ყრუ
კარი გადებულიყო; რა ვიცოდით, ბატონი
ვაჟა, შენი განუსაზღვრელი ავტორიტე-
ტი თუ გადაგვარჩენდა: შენ რომ ერთი
შენებურად შეგეძახა, ალბათ, არც კუთ-
ვნილი შენობები დაიკარგებოდა და არც
ურნალ-გაზეთები დაიხურებოდა!.. ეგ
კი არადა „დედა ენასაც“ არ ამოიღებდნენ
სასწავლო პროგრამიდან!..

ნერ: გამომცემლობა „მერანის“ შენო-
ბის გაყიდვა უნდოდათ (ზაქონის ქ. 4-ში)
და მყიდველები კინწისკვრით გავაგდეო!..
როცა გაითხეთ: ვინ ყიდა, ან ვინ ყიდ-
ულობდა, — აბა, რა ვიციო, — გვიპა-
სუხე!.. ესეც ნაცარქექიისა თუ სიტყვა-
ქექიის გამოგონილი ბრალდება! თუმცა
მწერილში მოყვანილი რომელი ფაქტი არაა
სიცრუე?! იმასაც ცრუობ, ან ვილაცამ
მოგატყუა, თითქოს მწერალთა კავშირში
1000 წერილი! მაშინ, როდესაც მათი რიცხ-
ვი რამდენიმე ასეულით ნაკლებია!..

შენ ისიც კი ვერ გაგიგია, რომ გა-
მომცემლობა „მერანის“ თანამშრომელი
არასოდეს ყოფილხარ და ხელშეკრულე-
ბაც კი არასდროს გქონის გაფორმებული!
შენ ისიც ვერ გაგიგია, რომ შენ მოპარული
ქალადის ფულს კი არ გახდევინებდა გა-
მომცემლობა სასამართლოს განჩინებით,
არამედ, შენს მიერვე დადებული ხე-
ლშეკრულების შეუსრულებლობისათ-
ვის დარჩენილ დავალიანებას! არაფერს
ვამბობთ იმაზე, თუ რამდენი გეპატია
პირგასამტებლო პროცენტების სახით,
ან როგორ გაიტან მალულად გამომცე-
მლობის კუთვნილი ქალადი; შენ ცილს
წამებ სასამართლოს, მოსყიდული იყო
მოსამართლეო, რაც ასევე სიცრუე და
დანამაულია; ასე, რომ ფრთხილად იყავი,
შენს მიერ გათხრილ ორმოში თავადვე არ
ჩავარდე!..

არ ვაპირებთ შენთან იმის მოყოლას,
ამ წლებში მწერალთა კავშირსა თუ საქა-
რთველოს სხვადასხვა თეატრსა თუ ორ-
განიზაციაში რამდენი იუბილე და ლიტ-
ერატურული საღამო ჩავატარეთ, რამდე-
ნი ნიგინი, ურნალი თუ ანთოლოგია გამ-
ოვეცით, როგორც საქართველოში, ასევე
საზღვარგარეთ და, შესაძლებლობების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერალთა
კავშირის სამდივნომ ანგარიში ჩაგაბ-
აროს!.. განა არ იცი, რომ შენ არც არავინ
აგირჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელების
ფარგლებში, ხელი შევუწყვეთ ქართული
მწერილის პოპულარიზაციას! ყოვე-
ლივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და
არც თავად ბრალდები ის პირვენება,
რომ შენგან შეურაცხყოფილმა მწერ



ბადრი ქუთათელაძე 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ბადრი ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონობ ბადრი!

ჩვენი ძვირფასო მეგობარო!
საქართველოს მწერალთა კავშირი,
თქვენი თანამიკალმენი გულმხურვალე
მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის
ლირსეულ წევრს, მშვენიერ პოეტს, მამულიშვილს და გილოცავენ ლირსესან-
იშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში —
დაბადების 70 წლისთავს.

1976 წელს გაზეთ „ახეომის“ ლიტერატურულ დამატება „ირმის ნახტომში“ გამოიქვეყნეთ პირველი ლექსები და მას შემდეგ ნაყოფიერად იღწვით ლიტერატურულ სარბიელზე, როგორც ქართული მწერლობის ორგანული ნანილი. თქვენი ნანარმოები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ეს ზამთარიც ჩაილია“, „სარკმელი“, „დღო რამდენი გასულა“, „შეზე მიოცნება“, „დღო არ იძლევა უფლებას“ და სხვები ქართველი მეითხველის ყურადღებას, უპირველესად, გულწრფელობით და სისადავით იპყრობს. ჭეშმარიტი შემოქმედი ხართ, რომელსაც ძალუძს იმ ბეღურების სევდის თანაზიარი გახდეს, რუსთაველის გამზირზე, ილიას და აკაკის ძეგლთან, ტეკივილებს რომ კენკავენ და ეს უკვე მერამდენედ შეგვახსენებენ ამ გამზირის, ამ ქალაქის, ამ იგამიზუნებომელი ქვეყნის გაებით და ვარამით სავსე ისტორიას; არ შეგიძლიათ უტკივილოდ უყუროთ შინაურისგან დაპყრობილ და გაყიდულ სამშობლოს, იმას, თუ რა ულვოთ ვნევათ და ვანადგურებთ საკუთარ საცხოვრის... თუ გულს ევედრებით, არ მიღალატო და მიორგულო, ეს გულიც სამშობლოს საკურთხეველთან გაქვთ მიტანილი, გულწრფელად გშურთ

იმ მერცხლებისა, რომლებსაც ჩვენგან – ადამიანებისგან განსხვავებით სამშობლოში დაბრუნება შეუძლიათ. ჩვენ კი...

თქვენს საუკეთესო ლექსებზე, რომლებიც თარგმნილია სომხურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე, არაერთი მშვენიერი სიმღერა შეიქმნა. ეს ლექსები შესულია სხვადასხვა ანთოლოგიაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალნლიანი გარჯისა და რუდუნების შედეგი – წიგნი „თბილისის ქანდაკება — პოეზია ქაში“, რომელშიც აღნუსხეთ და სისტემაში მოიყვანეთ როგორც არსებული, ისე, სამწუხაროდ, დღეს უკვე იავარქმნილი ძეგლები, მონუმენტები, ბიუსტები. ეს წიგნი ქმნის ნანამძღვრებს ხელოვნებათმცოდნეთათვის ქართული ქანდაკების გენეზისის, არქიტექტურისა და ქანდაკების სინთეზის თუ ქართული ფერმენტის დასადგენად. ამდენად, თქვენი მრავალწლიანი ნაშრომი უმნიშვნელოვანეს კულტუროლოგიურ ფაქტს წარმოადგენს. ამიტომაც გაუძლო უკვე სამ გამოცემას და, რაც მთავარია, ამიტომაც მოგენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია. ქალაქის ისტორიას ეძღვნება თქვენი მეორე წიგნიც — „ახალი სახელები“.

დიდად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ, 30 წელზე მეტი ჩვენს დედაქალაქს

ემსახურებოდით, როგორც თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელვობების, ძეგლებისა და პანთეონების დირექტორი, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. თქვენი დიდი წვლილიცაა იმაში, რომ თბილისის ბევრი ქაშა დიდი ქართველების სახელს ატარებს. ამჟამად დიდუბის მწერალთა პანთეონს დირექტორობით და სიყვარულით ელაციცებით ქართული მწერლობისა და ხელოვნების კორიფეთა საფლავებს, მათ უკვდავ სულებს.

გვახარებს, რომ თქვენს ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ღირსების ორდენს. მონიშვნებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამაგდარისა და კულტურის რაინდის საპატიო წოდებები, აგრეთვე, რომის პაპის სამახსოვრო მედალი.

ძვირფასო ბადრი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართული სამწერლო ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, დიდაბის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

არ შემიძლია

არ შემიძლია ვიყო შენი კურდლის
მდევარი!..
მე ჩემი მტრედის სიმსუბუქე ცაში
მიმაფრენს...
ჯერ კიდევ მელის დასაპყრობად ჩემი
მწვერვალი,
ჩემი კაცობის ტკივილი და ჩემი
სიმართლე!..

დღეს გაზაფხულს გავურბივარ

დღეს გაზაფხულს გავურბივარ...
მოდი, ზამთარი!
მოდის ზამთარი, გაზაფხულის
სურნელს დავეძებ...
ასე მანვალებს, ასე ბრუნავს ჩემთვის
სამყარო...
და მე არ ვიცი, ვის მივენდო, ან ვის
გავექცე!

მე გული არა,

ნეკნები მტკივა,
გარდაცვალების ჩემის ვარ მოწმე!..
ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...
და პატიტას ვერ ითხოვს გული,
რადგნ დაკარგა ამ ქაშამ ძველი
ალუბლის ფერი
და ვარდის სუნი!..

მომჩერებია ფიქრებთან ერთად

ჩემი ოთახის პატარა ღამე...
და მახსენდება განვდილი გული,
სიყვარულით რომ ნაცნობებს ვატან...
ჩემი ოთახის პატარა ღამე
განშორებების
სილუეტს ხატავს!..

გული დიდი მოცდომაშით ვაკვირდებოდი

გუშინ დიდი მონდომებით
ვაკვირდებოდი
საკუთარ პროფილს...
და მივხვდი,
მოვალეობის მოხდით
რომ ვცხოვრობ!..

ეს ზამთარიც ჩაილია

ეს ზამთარიც ჩაილია
უთოვლოდ და უშენოდ...
და გაზაფხულს შევეთვისე
იმედებით წრფელით...
მინდა, ისევ საალერსოდ
მოგენდო და გიჩვენო —
ცრემლით გამოზამთრებული
სიყვარული ჩემი!

შენზე მიოცნებია, სათემელს ვეღარ

ვეღდავდი...
ასე ჩუმად კვდებიან ეს გრძნობები
თავნება!..
ჩემი სახლის ფანჯრიდან შენს აივანს
ვხედავ და...
ამის შემდეგ სამყარო, ჩემო კარგო,
თავდება!..
შენზე მიოცნებია ჩუმად, ჩემთვის,
უთქმელად...
ეს ხომ ჩემი გზებია ოღონჩოღოდ
სავალი...
უკვე ვეღარ დავმალავ, მინდა ვუთხრა
სუყველას,

ჩემი სულის ღმერთები

სადღაც შორს მიფრინავენ...

მიწიერი ვედრებით

შევრჩი ადამიანებს...

შევრჩი,

ვხედავ მადლია

ჩემი სულის მოთოვავა,

ჩემში კარგი რაც კია,

ჩემში რაც კი მომწონდა —

ვერ პოულობს საყდარს და

ქარს მიჰყება ქარივით...

სული ჩემი განამდა,

სული — თეთრი ყვავილი!

შენ სათვალავში არა ხარ სხვაგთან

შენ ცალკე, სადღაც სილრმეში მყევხარ!..
მე ყველას გუძღვნი ცოტ-ცოტა სითბოს,
შენ სულ სხვა ცრემლს და სიყვარულს
ითხოვ...
წუხს ახლა ღამე, დალლილი ჩემით,
ვზივარ და გინერ პატარა წერილს,
ვზივარ და ლანდი დამცინის ჩემი,
ეს, მერამდენე გასულა წელი!

ყველაზე მეტად მრცველია ჩაიმ

მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების
ქარიშხლიანი დღეები და სინანულის
ურუანტელი მივლის
ტერენტი გრანელი
ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი
/საკუთარ სულსაც სჭირდება მოვლა.../
ეს მეშვიდეა,
მეშვიდე წელი,
თითქოს არა ვარ და თითქოს რომ ვარ!..
ქუჩაში ქარი დაეძებს ბინას
და უმიზეზოდ აწვალებს ფოთლებს,

ჩემი რთახის მყუდრო

კედლები

ჩემი ოთახის მყუდრო კედლებში
მატარებლების ატანს ხმაური,
ღამე თბილი და ვერ ვეტევი,
მე — მოწყენილი და უცნაური...
მატარებელი მიათრევეს სხეულს,
თან ტოვებს სითბოს, მწუხრსა და
ნაღველს...

ემზადებიან მერცხლები,

ეპა ცხადაძე

კულტუროლოგიური დისკურსი ცხინვა-
ლის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე
(ფიქრები აღნებსანდრე მღებრიშვილის
„ცხინვალის ლიტერატურული და კულ-
ტურული ცხოვრების ისტორიაზე“).

რია XIX და XX საუკუნეებში. ალექსანდრე მღებრიშვილის წიგნი ფუნდამენტური კულტუროლოგიური დისკურსია ცხინვალისა და, ზოგადად, შეიძა ქართლის ინტელექტუალურ და პოლიტიკურ რეალობაზე. ავტორი მეცნიერული რაკურსით გვიჩვენებს ცხინვალის ეთნოკულტურულ ყოფას: ქათველების, ოსების, ებრაელების თანაცხოვრებას, მათ ისტორიულ ქარტებილებს და პოლიტიკურ ბედს. ალექსანდრე მღებრიშვილის თვალთახედვაში ქართულ-ოსური, ქართულ-ებრაული თანაარსებობა აშკარად გასცდა ისტორიულსა და ლიტერატურულ ფარგლებს და მოვცა მთელი რეგიონის თავგადასავალი, მისი ყოვლისმომცველი წარსულიც და დღევანდელობაც, მთელი რიგი პოლიტიკური სიძნელეებით და დასაძლევით თუ დაუძლეველი წინააღმდეგობებით. ავტორს დამუშავებული და გაანალიზებული აქვს უამრავი ფაქტობრივი მასალა, მოყვანილი ჰყავს სისტემაში და ამგვარი მკაფიო სამეცნიერო მეთოდოლოგიით იძლევა დასკვნებსა თუ სავარაუდო ორიენტირებს.

ინგალი სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრსა და ვაჭარ-ხელოსანთა საცხოვრებელ წარმოადგენდა. მეცნიერების ვარაუდით ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანამდე ყოფილა განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრი. ვახუშტი ბაგრატიონი მას „მცირე ქალაქსა“ და „კეთილპატაროვანს“ უწოდებს ხელსაყრელი მდებარეობის გამო, ცხინვალი თბილისისა და გორის გვერდით იხსენიებოდა. უცხოელი მოგზაურების შთაბეჭდილებები, მეფის რუსეთის ადმინისტრაციული ცნობები, საგაზეთო პუბლიკაციები, სამეცნიერო ექსპედიციათა ანგარიშები თუ სხვა დოკუმენტები საინტერესო ცნობებს იძლევა ცხინვალის თაობაზე. ქალაქში ქართველები, სომხები და ებრაელები ოდითგანვე ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ საინტერესო სოციოკულტურულ სივრცეს, ქმნიდნენ იმ კოლორიტს, რაც მხოლოდ ცხინვალისთვის იყო დამახასიათებელი. საუკუნეთა მანძილზე შექმნილი იერსახე, განუმეორებელი ხიბლი და კულტურული სიმბიოზი გამოარჩევდა ცხინვალს სხვა ქალაქებიდან.

ადსანიშნავია, რომ ალექსანდრე მღებრიშვილმა ხელმისაწვდომი გახადა მიჩუმათებული ფაქტები, გამოამზეურა ღირსეულ მოღვაწეთა სახელები და პატივი მიაგო მთელი კუთხის დამსახურებას დედა საქართველოს ერთიან ეროვნულ დემოკრატია.

„ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია“ ექვსი თავისაგან, გამოყენებული ლიტერატურის სისაგან და პირთა საძირბლისგან შედგება. წიგნი მოიცავს მდიდარ საილუსტრაციო მასალას და რეზიუმეს ინგლისურ ენაზე. ასე რომ, დაინტერესებული სპეციალისტები და რიგითი მკითხველები სრულყოფილად გაეცნობან ამ პრობლემური რეგიონის ცხოვრების კულტურ მხარეს, ისტორიულ სვებედსა და სოციალურ-პოლიტიკურ დილეგმებს.

წიგნის შესავალშივე ავტორი გვამცნობს დასახული მიზნის თაობაზე, რომ საერთო ეროვნული კულტურის ქრილში სურს ნარმანადგინოს ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული გენეზისი და გამოკვეთოს მისი უმნიშვნელოვანესი როლი. ნაშრომი სრულყოფილ ნარმოლგენას გვიქმნის ქართულ-ოსურ კულტურულ თანაცხოვრებაზე, აქარნელებს არაერთ დღემდე გავრცელებულ ტენდენციურ მოსაზრებას და იძლევა ობიექტურ სურათს ყოველგვარი ეროვნული მიერძოებისა და პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე. ალექსანდრე მღებრიშვილი აღნიშნავს: „... დღემდე გავრცელებულ არაერთ ცნობას ტენდენციურობისა და არაობიექტურობის დაღი აზის. ჩვენი მხრივ, ვეცადეთ გასული საუკუნის უკანასკნელი ათნლეულის მოვლენების ჩვენებისას ვყოფილიყავით უკიდურესად მიუკერძოებელი და ზუსტი. ძირითადმა წყებამ ნახსენები ტრაგიკული მოვლენებისა, ჩვენ თვალწინ ჩაიარა მთელი თავისი სისასტიკით და დაუნდობლობით. გვსურს მკითხველს შევუქმნათ ობიექტური ნარმოლგენა იმ საკითხებთან

სანიშნავია გენიალური შექსპირის თხ-ზულებათა სწორულოვარი თარგმანები, რომლებშიც ქართული ენის ნიაღიდან სა-გულდაგულოდ გახლავთ მოძებნილი სა-თარგმნი თხზულებების სრულიად ღირ-სეული ორგანული შესიტყვებები“.

ასევე დაწვრილებით არის გადმოცე-მული იც. მაჩაბლის ახალგაზრდული შემართვა და ნიჭიერება საზოგადოებრივ ასპარეზზე. უზარმაზარი როლი ითამაშა ივანე მაჩაბელმა ქართულ კულტურაში, მისი მთარგმნელობითი აქტიურობის შე-დეგად ქართულ „შექსპირიანას“ ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ქართულ თეატრალურ სამყაროს მძლავრი ბიძგი მიეცა მსოფლი-ოს კლასიკურ დრამატურგიას ზიარებოდა და განვითარებულიყო.

„ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების“ საკუეთესო კუთხით გამომზეურებისას აღ. მღებრიშვილი მთლიანად იზიარებს ჩვენი ერის ტოლერანტულობას და აღნიშნავს: „XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასწყისს ცხინვალის ლიტერატურულ ცხოვრებაზე საუბრისას ნაკლებად გავაძახვილეთ ყურადღება ოსურ ლიტერატურაზე. პირველ ყოვლისა, ამის მიზეზი ისაა, რომ XIX ს. დამდეგს ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთიან ზონაში მკვიდრობდნენ. მხოლოდ იმავე ასწლეულის მეორენახევარში ინცება მათი თანდათანობითი ჩამოსახლება ბარის სოფლევბში. 1900 წ. ქართველი მიხედვით ამ წელს ცხინვალში ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ებრაელები“. ასევე ხაზგასმულია ოსთა ერთგულება საქართველოს ტახტის მეკვიდრეებისადმი, როცა ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ. აღ. მღებრიშვილის წიგნში კეთილსინდისიერად არის ოდინდელი დადგბითი მომენტები გამოკვეთილი. იგი წერს: „რუსული კოლონიზაციონული უღლისაგან XIX ს. დასწყისში იულონ, ფარნაოზ და ალექსანდრე ბატონიშვილების მიერ წამოწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ჩაება ოსი მოსახლეობაც. აჯანყებული ოსთა რაზმები თავს ესხმოდნენ რუსულ სამხედრო შენაერთებს, საგუშავოებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ. რუსულ ისტორიოგრაფიაში ასეთი მოვლენები განსაკუთრებული განსჯის საგანი იყო. ოსები ბგრატიონებს მაშინ ერთგულად უჭერდნენ მხარს.“

1810 წ. ცხინვალის აჯანყებაში ოსე-
ბი უყოფელი მანდი ჩატარებული იყო. თავდასაქართველოს მთავრობის
მიერ რელიგიის კრისტიანულის, მათი ანურისა და ნარმართულის ნაზავად იყო
მიჩნეული. სამნუხაროდ, რუსების მი-
ზანმიმართულმა პოლიტიკამ ისებასა და
ქართველებს მოუსპო ურთიერთნდობა
და კეთილმეზობლური ცხოვრება, რის
გამოც ოსები რუსული პოლიტიკის მძღვ-
ლებად იქცნენ. ცხინვალისა და ჯავის
რაიონებში ოსები იარაღით ხელი გამო-
ვიდინენ დამოუკიდებელი საქართველოს
ნინააღმდეგ 1918 წელს. 1920 წ. 8 მაისს
როგორც გამოცხადეს საბჭოთა ხელისუ-
ფლება. ყურადღებას იქცევს XX ს. 90-იანი
წლებიდან დატრიალებული ტრაგედიის
ქრონიკები: XX ს. 80-იანი წლებიდან სეპა-
რატისტული ორგანიზაცია „ადამონ ნიხ-
ასის“ შექმნა, გასული საუკუნის 90-იანი
წლებიდან რუსებისგან ნახალისებული
ძირძველი ქართული ტოპონიმების შეცვ-
ლა, რეგიონის სოცილური ცხოვრების
გაუარესება, შემოქმედებითი პოტენცია-
ლის მოშლა, ურთიერთობების შეწყვეტა.

ალექსანდრე მღებრიშვილი წერს: „საქართველოში ოსთა თანაცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, შეიძლება ითქვას, ბოლშევკური რუსეთის ასპარეზზე გამოსვლამდე, არანაირი სეპარატისტული ზრახვები არ ყოფილა. პირიქით, XIX ს. დასაწყისში ისინი ერთ-გულად დგანან ქართველ ბატონიშვილთა გვერდით და მათ მხარდამხარ ირდვიან რუსეთის გარიზმის წინააღმდეგ... მოვ-

ლენათა ცენტრი იყო ცხინვალი... ქართველ-ოსები ერთხმად აუჯანყდნენ ცარის-ტულ რუსეთს..."

მეოთხეული ნამდვილად გაოცებული დარჩება იმ ფაქტით, რომ პირველი ლექსი ოსურ ენაზე XIX ს. მეორე ნახევარშია ნავარაუდევი თემბორათ მანსუროვის ავტორობით. დავით კასრაძე, რომ ძალიან ნაყოფიერი მოღვაწე სწორედ ქართულ-ოსურ გარემოში გაზრდილა, რომ ფავლენიშვილთა გვარის წარმომადგრნლები ისე იღწვოდნენ საქართველოს ამ რეგიონში, რომ ბევრ საქვეყნოდ ცნობილ პირს შეშურდებოდა, მაგრამ ისინი მოკრძალებით და ჩუმად არჩევდნენ საქმიანობას.

ალექსანდრე მდებრიშვილის მიერ
მოძიებულ და გამომზეურებულ დოკუ-
მენტთა მიხედვით, ერედველი ფალა-
ვანდიშვილების მოღვაწეობა მართლაც
შთამბეჭდავია. ასევე დანიელ ჭონქაძის
და ვასილ ცორავევის მიერ 1868 წელს გა-
მოცემული „ოსური ტექსტები“ ნათლად
მეტყველებენ ურთიერთპატივისცემასა
და საერთო ინტერესებზე. ყველა ძრო-
ში, ყველა ხელისუფლების პირობებში
სულ ახალ-ახალი ნიმუშებით მდიდრდე-
ბოდა ნართი ხალხის და ქართველი
ხალხის ლიტერატურული საგანძურო.
ხოლომერაბ ელიოზიშვილის მხატვრუ-
ლი მემკვიდრეობის განხილვა ერთ-ერთი
საუკეთესო ლიტერატურული პასაჟია
ალექსანდრე მდებრიშვილის „ცხინვალის
ლიტერატურული და კულტურული ცხ-
ოვრების ისტორიაში“.

გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ-ოსურ ლიტერატურულ ურთიერთობებში „ვეფხისტყაოსნის“ ოსურად მთარგმნელს გიორგი ბესთაუთს. ხოლო ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, მერაბ ელიოზიშვილი და სხვები რეგიონის კულტურულ ცხოვრებას ახალ-ახალი ენერგიით ავსებდნენ.

1957 წელს გამოსულა ოსური პოეზი-

ისა და პროზის ანთოლოგია, მართლაც უპრეცედენტო აქტი კეთილმეზობლური აღიარებისა, პატივისცემისა და საპასუხო საქციელის მოლოდინისა, რომელიც არ გამართლდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველები კეთილშობილების მასტერ-კლასებს უტარებდნენ მთელ საბჭოთა სივრცეს და რუსული შოვინიზმი ამას „თავისებურად“ პასუხობდა.

„ქართულ-ებრაული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი“, „სამეცნიერო ცხოვრება“, „თეატრალური ცხოვრება“, „შურნალისტიკა (ურთიერთობათა გაშუქების პუბლიცისტური ასპექტები)“, „განათლება“ - არის ალექსანდრე მღებრიშვილის დიდი ნაშრომის ის თავები, რომელგბმიც გამოწვილვით არის განხილული თუ როგორ ვპასუხობდით რუსულ ანტისემიტიზმს ჩვენთვის დამახასიათებელი ტოლერანტობით ებრაელთა მიმართ და როგორ აფასებდნენ ამას დიდი ერის ნარმომადგენლები; შესწავლილია ცხინვალის განათლების დონის განუხრელი ზრდა და ამ ზრდაში ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის როლი, რომელიც ოსებს 1932 წელს გაუხსნეს და რომელსაც ქართული სექტორი მხოლოდ 1937 წელს დაემატა. წიგნში შთამბეჭდავად არის ასახული უნიტერესი ქართველი და ოსი მეცნიერების დაკანლი, მათი წვლილი იძერულ-კავკასიური ენათმეცნიერების კვლევაში. ასევე შესწავლილია განათლების კერძი, უანგარო პედაგოგიური კოლექტივების ნარმატებების საფუძვლები და ბოლოს, ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი.

ალექსანდრე მღებრიშვილმა „ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორიის“ შექმნით ფასდაუდებელი სამეცნიერო ნაშრომი დადო, დიდი ქართველების საქმეთა ღირსეულ გამგრძელებლად ნარმოგვიდგა და ყველასათვის აშკარა გახადა „რეაციული ინტერესებით გაჯერებული ძალების“ რეალური სახე.



ვანლერ დაისელი

რეპრესირებული პოეტის
გახსენება

თბილისის მერიისა და საკურებულოს ერთობლივი მხარდაჭერით და დაფინანსებით წიგნად პირველად გამოიცა მივინწყებული პოეტის ვანლერ დაისელის მხატვრული შემოქმედება („მზის სისხლი“, 2018წ.).

რეპრესირებული მოდერნისტი პოეტის, ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძე, 1903-1932(?)) წიგნის „მზის სისხლის“ შემდგენელ-რედაქტორი ლევან უვანია, რომელმაც ბოლო რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად თავი მოუყარა პოეტის 1926-1929 წლებში სხვადასხვა გამოცემაში გამოქვეყნებულ ლექსებს და წოველას „ლივილა“, რაც ერთად პირველად დაიბეჭდა, აგრეთვე, პირველად დაიბეჭდა ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში და სხვადასხვა არქივში დაცული ვანლერის გამოუქვეყნებელი ლექსები, მინიატურები და წერილები. ის, რაც პოეტმა 26 წლის ასაკამდე შექმნა. წიგნში დაიბეჭდა ასევე, შეს არქივში დაცული ვანლერ დაისელის სისხლის სამართლის საქმის ხანილიც...

ვანლერ დაისელი ცნობილი ლიტერატურული ორდენის „სომხამბულების“ დამფუძნებელია. ის თავისი შემოქმედებით მუდმივად აპროტესტებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და წითელ დიქტატურას. მხოლოდ 1922-1925 წლებში სამჯერ იქნა დაპატიმრებული ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის. არაერთი დაკავების და სისტემატიური დევნის მიუხედავად, არ უშინდებოდა არსებულ რეჟიმს. პოეტი ბოლშევიკებმა 1929 წლს მეოთხედ დაპატიმრებულ და სამი წლით გადაასახლეს. ვანლერ დაისელი გადასახლებიდან დაბრუნდა არ დაბრუნდულა. 1932 წლს არხანგელსკში ქრება მისი კვალი...

გთავაზობთ ვანლერ დაისელის რამდენიმე ლექსეს.

ბალათერ არაბული

სურვილები მშირი
ვაჟავებივით

დგება ღამეების ისევ შავი წვიმა, სადაც სიყვარულში გული დაისილა. დედა – საქართველო მსხვერპლად შეინირე, მზეში შეღებილი ვანლერ დაისელი ...

ეხლაც შენს წინაშე ვდგევარ ანთებული და იცი რომ შენით გული ნატკენია, ზეცა ფიქრითა მოგუმბათებული, კვდება იმედები ოქროს ბატქნებივით...

ჩემი სიყვარული ცათა სიცეცხლეა, გალობს ეს ქვეყანა ზღვათა გულებიდან, მიდის სურვილები ამაყ მერცხლებივით, ნდობის სურათები ასე ულევია ...

ვდგევართ ერთ მინაზე თუმცა დაშორებით, სადაც გულებისთვის ღამე ტიხარია, სადაც სხვა მუსიკის ელვა გვაურულებდა, სადაც მწუხარებაც ასე გვიხარია ...

სადაც ვარსკვლავების ოქრო იპნეოდა, სადაც წყურვილები იყო ვაზებივით, სადაც ჩვენ მღეროდით „მზეო ლილეოს“ და

სადაც სიხარულში თითქმის

გავზევირდით.

ეხლა გაგიუებით მინას უმღერიან, ეხლა გულებიდან ქარიშხალებია, მე მნამს ეს ცხოვრება მძიმე უდელია, მე მნამს სურვილები ქარვის ჟღალებივით.

და ხან მწუხარება დგება ნისლებივით, სადაც ჩემი თავი მე არ მძაგებია, სადაც შეშებივით დღენი იმსხვრევიან, სადაც ღამეები რბიან ზანგებივით...

დედა ძნელი არის სულის გაჭირვება, როცა სურვილები ჭკნება ყვავილივით, სადაც გულებია ეხლა დაჭრილები, სადაც ღამეების მნარე ბლავილია ...

მთიდან დემონივით ვდგევარ ალიონზე, სადაც ამურივით გულში ჩაგიკალი, ლანდებულჩაკრული ვმდერი არიოზოს, —

მე და პოეზია, ღამე შავი ქალი...

საგნებს ეხეთქება გული ლომებრივი, დნება ღამეები შავი მეღანივით, ქარებს სურვილები გაჰყვა ქორებივით, ეხლა გულის ძგერა ჩემი მერანია ...

ვიცი ერთი რამე უნდა ვითამაშო, რადგან ყველაფერი წვა და ნივთებია, გულის უდაბნოში სიცხით ამომშრალი დავკალა სურვილების თეთრი მისტერია ...

ეხლა გულის ძგერით ღამე დაისერა, დგება სურვილები მშირ ვეფხვებივით გრძნობის ქარიშხლები, ვანლერ დაისელო! ეხლაც ბზიკებივით გულზე გეხვევიან ...

მაგრამ მინა მაინც თითქოს უცვლელია სადაც გულები ქევს ეხლა ნაღმებივით, როცა ვნებიანად ცეცხლებს უცქერიან, როცა სურვილები ბაირალებია ...

გულში სიხარული მხვდება ისარივით, მოდის გარიურაჟი წითელ ბაგიანი, გავყვე ამ დროებას ჩემი მიზანია: როცა სხვა მუსიკის ხმები აგრიალდა.

თოვლი და ტფილისი

გულში გრძნობები არ მეტევიან, ტფილისი თითქოს ეხლა ვიგრძენი, ვანლერ! განცდები ჰამლეტებია, ვანლერ! ლექსები ვეღარ გიძლებენ....

ეხლა თოვლები იმედს მისველებს, ქალაქი თეთრად შეღებილია, მე ვეუბნები ხალხს, ტფილისელებს: მზეს გულში სძინავს, გრძნობა ტფილია...

ვწუხვარ სიცელექს რომ გაძულებდი და ჩემი გული ინვოდა რაოდენ, მე მიხაროდა დღეს ქალწულები თეთრ მოედნებზე რომ თოვლაობდენ...

გურიის კარგო სინიორიტა! შენ ვერ იგრძენი ამ გულის სიღრმე, შენ სწუხარ ეხლა და სიშორიდან მოაქვს მუსიკა რადიო მიმღებს...

მანდ ზამთარია, დინჯი, ზარმაცი, თოვლი უხდება მთებს და ნალიებს, იცი სასტიკად ასე ჯვარს მაცვი, გულიდან სისხლი ამომალიე...

მაგრამ პოეტი მაინც სულ სხვაა, პოეტი ისევ გულმაღალია, შენ ჩემი სული მწარედ დასუსხე, ბედის ვეფხვები თავს დამბლავიან...

მე მაინც ვმდერი სხვა იერიშით, გიძლენით სიყვარულს ცივო მასებო! თითქოს ქვეყანა იქცა ფეტიშათ, თითქოს ფერები ალარ არსებობს...

ტფილისი თოვლის სუსხმა შეფიფქა, შრება ჰაერი ცივი და მუქი... ვანლერ! ტფილისის მცველი შეფი ხარ, ტფილისი სავსე თოვლით და ბუქით...

მწუხარე დღეა ბაირონივით და სიხარული თითქოს დღეს მინდა, თითქოს სხვა ყოფის ხილვის ლოდინით, ტფილის დავცქერი ასი ვერსიდან...

მოსჩანს მთაწმინდა თეთრი კეხივით, ტფილისზე ისევ თოვლი ეცემა, მიღლავს მტკარი წელგატეხილი, ტყდება ტალლები ყინვის ვერცხლებად...

მე მსურდა თქვენში ტრფობა მეხილა ღრუბელთა ხორცის თეთრო ვერძებო! სად ყიფიანი შუბლგატეხილი სვამს ტფილისის და მზის სადღეგრძელოს...

თოვს და დღე კვდება გულის ძგერაში, ამდენმა განცდამ გული მოღალა... ასე მგონა ზეცამ ერთბაშად თეთრი ჯიქნებით რძე გადმოღვარა... იძინებს ღამე შავი ხავერდი, წევს კატასავით თოვლის ბალიშზე, მეგონა შენით გავიხარებდი, მაგრამ სევდებით გული გამიშრე...

მე მაინც მიყვარს ჩემი რაობა, თოვლის ტყვიები ღამეს ხერიტავენ, მე ისევ მინდა მზის ბუღრაობა, მე მაინც მინდა კიდევ მხიბლავდე...

პოეტი და განკარგი

ბარათაშვილმა გააჭენა ერთი მერანი, იყო დროება, პოეტებსაც უხვად დაფინიდნენ.

დღეს კი გულიდან გებადება ბევრი ბერები

და ალარ იცი ლაქვარდებში რომლით გაფრინდე.

დღეს პოეტისთვის გამზადილი ბევრი მერნები ქშენენ მზეებთან გამბედავი მხედრის გარეშე, დღეს ადამიანს ეშინა, სუსტი ნერვებით მოახტეს რაშს და აზვირთებულ ქარში დაეშვეს.

თუ ედგარ პოეს აწვალებდა ერთი ყვანჩალა, ჩვენ ხომ გვესევა არწივების მთელი დასები.

დღეს საჭიროა პოეტს ჰქონდეს გული ხანჯალად

და საწამლავის მიღიონი შესვას თასები..

მაინც ლექსებათ დრო დავხიოთ, გრძნობა დავრაზმოთ, როს სივრცეებზე ჩიტებივით გულით ვასკედით. პოეტო ძმებო! მანქანების ამ ქვეყანაზე, იქნებ ჩვენა ვართ პოეტები უკანასკნელი..



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აქადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ავტომატიზირებულ მართვის სისტემებისა და ინფორმაციის სფეროში განსაკუთრებული მიღწევების აღსანიშნავად, საქართველოსა და აზერბაიჯანს მორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის ბაქოს საინიციატივის რექტორის, პროფესორ ჰაგარ მამადოვს მიენიჭა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი.

საპატიო დოქტორის წოდება ძვირფას აზერბაიჯანულ სტუმარს გადასცა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორა, აკადემიკოსმა არჩილ ფურნაზიევილმა.



რეზო სტურუა

ჰავარ მამადოვა

(ჩვენს აზერბაიჯანულ მეცნიერებას)

შენ მოგყვა
სურნელი კასპიის
და სიბრძნე
უკვდავი ყურანის,
მე გჩუქნი
სიყვარულს ბიბლიის
ნაფერებ
და ნასათბურანის.

ნახვალ და
დამრჩება სახსოვრად
შენი ხმა –
ჭიქფიკი ნიბლიის,
სითბო იმ
გრძნეული ყურანის,
ფეთქვა ამ
მთრთოლვარე ბიბლიის.

Rezo Sturua

Həvar Məmmədova

(Azərbaycanlı dostumuza)

Sən özünlə
Xəzərin qoxusunu,
“Qurani-Kərim”in
əbədi müdrikliyini gətirdin.
Mənsə,
“İncil”in isitdiyi
məhəbbətimi bəxş edirəm sənə.

Gedəcəksən...
mənə yadigar səsin -
alacəhərə quşunun cəh-cəhi,
“Qurani-Kərim”in müdrikliyi,
bir də titrək “İncil”in nəbzi
qalacaq.

აზერბაიჯანული და თარგმა
ალაზეერდ თაქლადმა

ქანცგანყვეტამდე თავმომწონთ
დოღში,
ის სულ უბრალო ქვა და კენჭია,
მაგრამ ერთ დღესაც აიღებ ხელში
და ალმასივით დაიწყებს ბრჭყვიალს..

გაძვირფასდება თვალწინ შენსავე
უამრავ ფერს და უამრავ ხმაში
და გეგონება,- ძმა, ნათესავი
დიდი ხნის მერე დაბრუნდა სახლში...

მტრობით და ეჭვით დანაღმულ გზაზე
(ასე ყოფილა ქვეყნად მუდამდე)
ის, როგორც ფეხით მავალი მგზავრი,
გვიანი გზებით აღწევს გულამდე...

ორი თარიღი

წევს პორიზონტი და არ იცვლება,
დღითი დღე მხოლოდ ნაპირს
ვცილდები,
არ შეიცვლება წელი, თვე, რიცხვი,
წამი, რომელშიც გარდავიცვლები...

გამოვიდა ცნობილი ქართველი დრამატურგის ზაალ ნემსაძის სცენარების კრებული. ნიგნი შესულია ავტორის მიერ უკანასკნელ ხანგბში შექმნილი სცენარები. კრებული სანტერესოა მასში შესული სცენარების ორიგინალურობით და დრამატურგის ოსტატობით.

ვეჯვალ ნიგნის რედაქტორის
რევაზ მიშველაძის ნინასიტყვაობას.

ნინათქმა

ზაალ ნემსაძე პროფესიონალი სცენარისტი და პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნე-პუბლიცისტი.

„პროფესიონალს“ აյ იმიტომ უუსვამ ხაზს, რომ რაც დრო გადის, სიტყვა პროფესიონალიზმი უფრო და უფრო ფერმქრთალდება.

ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში პროფესიონალი სანთლით საძებარი გახდა და, მით უმეტეს, არ გვყავს პროფესიონალი სცენარისტი.

დღეს კინორეჟისორები თვითონ წერენ სცენარებს და თვითონვე იღებენ ფილმებს.

ლიტერატურა რომ ძალიან ეადვილებათ, სწორედ ამის გამოა, რომ მოგვიმრავლდა უმნიფარი, პრიმიტიული, ქუჩური უარგონით და დაუხვენა-

ზამთრის ეტიუდი

ამ დღეებს შენი აკლიათ სუნთქვა დღე უსულოა გარეშე რომლის..
და როგორც ზამთრის ხეივნებს
სურდათ,
ისეთი თბილი მოვიდა თოვლი...

მდინარესავით წალეკა ხედი
და დავიწყებას მისცა ბუნება,
წაშალა ყველა კვალი და ხიდი,
დავტოვე რაც შენს დასაბრუნებლად...

არც შარშანდელი დარჩა ამბიდან,
გამოყოლილი სევდა სიცივის
და შუალამის შუშაბანდიდან,
შენს ნაცვლად ახლა თოვლი მიცინის...

ეკა ქაჯაია

გვიანი მიზანი

ყველა ლექსს თავის აქვს ბედისწერა
მზე იყოს და ან სხივი ერთი დღის,
მარადი შუქი თუ გაელვება,
ან შეუცნობი დარჩეს ღმერთივით...

და ვერ იგემოს გზად სიხარული,
მანიც სურნელი დააქვს საკმევლის,
არც ტრიბუნათა იხმობს ხმაური
და ლოცვასავით არის სათქმელი..



ირმა გურიელი

ვართოდ გახელილ
თვალით

ვიღაც მისტირის წარსულს,
ვერ ეცუნება ახალს...
ვიღაცა დარჩა დროში...
ვიღაც, რაღაცას ჩმახავს...
ვიღაცა გარჩა ხეზე,
ვერ გაუგია არსი...
ჭირვეულობს და ანჩხლობს,
აწყობს ასეთი ფარსი...
ვიღაც, ვიღაცას წყალობს
თანამდებობით - „პოსტიტ“,
სიმართლე კიდევ დადის
წერილობითი ფოსტით...
ვიღაც ვიღაცას კიდევ
აშინებს მწარე „როზგით“...
ვიღაც - ვიღაცას სჯობნის
მოხერხებით და „მოზგით“
ზოგსაც მიმოაქვს სიტყვა:-
ზოგით დადის „ტროსტით“...
ვიღაცას ფრთები აქვსო...
ვიღაცა დადის, „ხვოსტით“...
გამოჩნდა ვიღაც - ვისით
და ხალხს ატყუებს დლისით,
დამეს დაარქვა დღე და
ღამეა თურმე დღისით...
ვიღაც ვერ უკარავს, თუმცა
ჩვენ თავს გახანონებს გამით...
თუ მიხვდით, იქნებ მითხრათ,
რა გამოვიდა ამით?!

როცა ვირი პედაზობს

ტყუილ-მართალი აიდლვიბა,
აგორდა და საბლება...
დაცემული ანგელოზი
გულში ჩუმად სახლდება...
არ სჭირდება დიდი ნიჭი,
არც ის - იყო მოსანი,
მთავარია, იკადრო და
ვირს უწოდო ფრთოსანი.
მერე, მართლა დაიჯერო...
ვიღაც აგყვეს თამაში
და შენც უკევ „ბედაურობ“
აღარ ეჭვობ ამაში.
მთავარია, უსინდისოდ
შექმნა ეს „საოცრება“...
ყიდიან და ყიდულობენ,
ნეტარი აქვთ ცხოვრება.
მოგვიმრავლდა მსურველები,
არ სურთ, მხოლოდ ლცნება,
თუ გაყიდი - იყიდება.

მოსწონთ ეს „საოცრება“.
ავიწყდებათ უმთავრესი,
როცა სინდისს ჰყიდიან,
რომ ამ ქვეყნად არვინ რჩება,
იმ ქვეყანას მიდიან...
არაკაცნი მოგვიმრავლდა,
გულს გაუდის ზანზარი,
თვალში ნაცარი გვეყრება
ყოფა ხდება საზარი...
თუ კი, ასე გაგრძელდება
არ ექნება საზღვარი...
მაშინ, მართლა ეს ცხოვრება
არის მხოლოდ ბაზარი...
ვცდილობ, სული დავამშვიდო,
მაგრამ უფრო ბრაზდება...
აღარ სჯერა, რომ კაკალი,
ბამბად არ გასაღდება.
როცა ვირი „ბედაურობს“
ძვირად ფასობს, საღდება,
სიკეთე და ბოროტება
ერთმანეთში ზავდება...
...ღმერთო, თვალი აგვინილე...
მადლი მოგვეც საგზლადა,
ჩვენც ხომ შენი შვილები ვართ,
ღვთისმშობლმა გაგვზარდა!
გულო, ჩადექ საგულესა,
არ შეგვენის ქილიკი,
მაპოვნინე - ტაძრისაკენ
მიმავალი ბილიკი!

* * *

როცა წვიმა, გულში სევდას ბადებს,
ცხოვრებაში ზოგჯერ არის უამი...
გსურს თუ არა, გაგახსენებს წარსულს,
დათვლილია თითქოს ყველა წამი...
წვიმის ხმაურს აძლიერებს ქარი,
ფურცლავ წარსულს, აღასრულებ
ნებას,
ყვითელ ფოთლებს ფერხთით გიყრის
ქარი
და დაეძებ, რაც მოგიტანს შვებას...
სიყმანვილე, როცა მიდის, ქრება...
რა აზრი აქვს ადევნებულ ფიქრებს,
თავს გახსენებს დაკარგული წლები
და შორიდან, გაბუტული გიმზერს...

* * *

ჩახერგილია ყველა გზა-შარა...
ადიდებული ყველა მდინარე...
კაცთა სიხარბემ ისე შემზარა,
სულში არაგვი ჩამომდინარებს...
ცოდვილ კრავივით მათვლიან საკლავს,
სული კივილით უხმობს სხვა მიზნებს...
არწივის ფრთებით მივდევ ჩემს
ვარსკვლავს...
უხილავადაც ვხედავ სამიზნეს.
